ალლაჰი შეკრებს ადამიანებს – როგორც პირვანდელ, ისე ბოლო თაობებს – ერთ დიდ ვაკეზე, ისე, რომ ყველას ექნება საშუალება მოისმინოს მქადაგებლის ხმა და დაინახოს ერთმანეთი. მზე მათ ძალიან მიუახლოვდება და ისინი ისეთი დიდი მწუხარებით, დარდითა და შიშით იქნებიან მოცული, რომ მათი მდგომარეობა აუტანელი გახდება

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მასით კმაყოფილი) გადმოსცემს: «ერთხელ ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხორცი მოუტანეს, და მას ბატკნის მხარი მიართვეს, რადგან მას ეს უყვარდა. მან ერთი ლუკმა ჩაკბიჩა და შემდეგ თქვა: «მე ვიქნები ყველა ადამიანის ბატონი სასჯელის დღეს. იცით, რატომ? ალლაჰი შეკრებს ადამიანებს – როგორც პირვანდელ, ისე ბოლო თაობებს – ერთ დიდ ვაკეზე, ისე, რომ ყველას ექნება საშუალება მოისმინოს მქადაგებლის ხმა და დაინახოს ერთმანეთი. მზე მათ ძალიან მიუახლოვდება და ისინი ისეთი დიდი მწუხარებით, დარდითა და შიშით იქნებიან მოცული, რომ მათი მდგომარეობა აუტანელი გახდება. მაშინ ადამიანები ერთმანეთს ეტყვიან: "ნუთუ ვერ ხედავთ, რა დაგვემართა? ხომ არ ვიპოვოთ ვინმე, ვინც ჩვენთვის შუამდგომლობას გასწევს ჩვენი უფლის წინაშე?" ერთნი მეორეთ ეტყვიან: "წადით ადამთან!" ადამთან (მშვიდობა მას) მივლენ და ეტყვიან: "შენ ხარ კაცობრიობის მამა! ალლაჰმა შენ თავისი ხელით შეგქმნა და შენში თავისი სული ჩაჰბერა, თავისი ბრძანებით ანგელოზები დაგიხარა და სამოთხეში დაგასახლა. შუამდგომლობა გაგვიწიე შენს უფალთან! ნუთუ ვერ ხედავ, რა დაგვემართა?" თუმცა ადამი (მშვიდობა მას) იტყვის: "ჭეშმარიტად, დღეს ჩემი უფალი ისე განრისხდა, როგორც არასდროს განრისხებულა და აღარ განრისხდება. და ჭეშმარიტად, მან ამიკრძალა ერთი ხის ნაყოფის ჭამა, მაგრამ მე მისი ბრძანება დავარღვიე! ვაი, ჩემო თავო! ვაი ჩემო თავო !ვაი ჩემო თავო!წადით სხვასთან, წადით ნუჰთან!" ისინი მივლენ ნუჰთან (მშვიდობა მას) და ეტყვიან: "ო, ნუჰ, შენ ხარ პირველი მოციქული, რომელიც ალლაჰმა მიწის მოსახლეობასთან გაგზავნა. ალლაჰმა შენ მადლიერი მსახური დაგიძახა. შუამდგომლობა გაგვიწიე შენს უფალთან! ნუთუ ვერ ხედავ, რა დაგვემართა?" მაგრამ ნუჰი (მშვიდობა მას) უპასუხებს: "ჩემი უზენაესი და დიადი უფალი დღეს ისე განრისხდა, როგორც არასდროს განრისხებულა და აღარ განრისხდება. მე მქონდა შესაძლებლობა, ერთი ლოცვა აღმევლო ალლაჰისადმი და ის დავხარჯე ჩემი ხალხის განადგურებაზე! ვაი, ჩემო თავო!ვაი ჩემო თავო! წადით სხვასთან, წადით იბრაჰიმთან!" ისინი მივლენ იბრაჰიმთან (მშვიდობა მას) და ეტყვიან: "ო, იბრაჰიმ, შენ ხარ ალლაჰის წინასწარმეტყველი და მისი ხალილი (შეყვარებული/ მეგობარი), რომელიც მან დედამიწის მცხოვრებთაგან ამოარჩია. შუამდგომლობა გაგვიწიე შენს უფალთან! ნუთუ ვერ ხედავ, რა დაგვემართა?" მაგრამ

იბრაჰიმი (მშვიდობა მას) იტყვის: "ჩემი უფალი დღეს ისე განრისხდა, როგორც არასდროს განრისხებულა და აღარ განრისხდება. რაც შემეხება მე, სამჯერ ვთქვი ტყუილი! ვაი, ჩემო თავო! ვაი ჩემო თავო!ვაი ჩემო თავო! წადით სხვასთან, წადით მუსასთან!“ ისინი მივლენ მუსასთან (მშვიდობა მას) და ეტყვიან: "ო, მუსა, შენ ხარ ალლაჰის მოციქული, რომელსაც ალლაჰმა მისცა უპირატესობა ხალხზე, რადგან მან თავისი გზავნილი მოგანდო და შენთან უშუალოდ ისაუბრა. შუამდგომლობა გაგვიწიე შენს უფალთან! ნუთუ ვერ ხედავ, რა დაგვემართა?" მაგრამ მუსა (მშვიდობა მას) იტყვის: "ჩემი უზენაესი და დიადი უფალი დღეს ისე განრისხდა, როგორც არასდროს განრისხებულა და აღარ განრისხდება. მე ადამიანი მოვკალი, რომლის მოკვლა არ მიბრძანებია! ვაი ჩემო თავო! ვაი ჩემო თავო! ვაი ჩემო თავო!წადით სხვასთან, წადით ‘ისასთან(იესო)!" ისინი მივლენ ‘ისასთან (მშვიდობა მას) და ეტყვიან: "ო, ‘ისა, შენ ხარ ალლაჰის მოციქული, მისი სიტყვა, რომელიც მან მარიამს ჩაუნერგა, და სული, რომელიც მისგანაა. შუამდგომლობა გაგვიწიე!" მაგრამ ‘ისა (მშვიდობა მას) იტყვის: "ჩემი უფალი დღეს ისე განრისხდა, როგორც არასდროს განრისხებულა და აღარ განრისხდება!" თუმცა ის არ ახსენებს საკუთარ ცოდვებს და იტყვის: "ვაი, ჩემო თავო! ვაი, ჩემო თავო! ვაი ჩემო თავო! წადით სხვასთან, წადით მუჰამმადთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)!" შემდეგ ისინი მოვლენ ჩემთან და იტყვიან: "ო, მუჰამმად, შენ ხარ ალლაჰის მოციქული და წინასწარმეტყველთა ბეჭედი! ალლაჰმა გაპატია შენი ადრინდელი და უკანასკნელი ჩადენილი (შეცდომები). შუამდგომლობა გაგვიწიე შენს უფალთან! ნუთუ ვერ ხედავ, რა დაგვემართა?" მაშინ მე მივალ ალლაჰის ტახტის წინაშე, დავიჩოქებ საჯდაში და მას ვადიდებ სიტყვებით, რომლებიც მან აქამდე არავის ასწავლა. შემდეგ იქნება თქმული: "ო, მუჰამმად, ასწიე თავი! ითხოვე და მოგეცემა, შუამდგომლობა გაუწიე და შენი შუამდგომლობა მიღებული იქნება!" მაშინ ვიტყვი: "ჩემი უმმათი, ო, უფალო! ჩემი უმმა, ო, უფალო! ჩემი უმმა, ო, უფალო!" მაშინ ალლაჰი იტყვის: "ო, მუჰამმად, შეიყვანე შენი უმმათიდან ისინი, ვისაც არ ექნება ანგარიში, სამოთხის მარჯვენა კარიდან, მაგრამ მათ შეუძლიათ შევიდნენ სხვა კარებიდანაც სხვებთან ერთად". შემდეგ მან თქვა: "ფიცს ვდებ იმაზე, ვისი ხელშიც არის ჩემი სული, სამოთხის თითოეულ კარს შორის მანძილი ისეთივეა, როგორც მექქასა და იემენის ჰიმიარს, ან მექასა და ბუსრას შორის!"»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის მეგობრებთან ერთად იყო მიპატიჟებული საჭმელზე, და მას მიართვეს ბატკნის მხარი მიართვეს, ეს მისთვის ყველაზე საყვარელი ნაჭერი იყო, მან ძლიერად ჩაკბიჩა ხორცი და შემდეგ მიმართა იქ მყოფებს: მე ვიქნები ადამის მოდგმის ბატონი განკითხვის დღეს; ეს მან მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ მორწმუნესთვის ნაბრძანებია ალლაჰის წყალობებზე საუბარი, რომლებიც მას უბოძა. შემდეგ მან თქვა: "იცით, რატომ?" და თვითონვე უპასუხა: განკითხვის დღეს ადამიანები შეიკრიბებიან უზარმაზარ, ბრტყელ ვაკეზე, სადაც ყველა მოისმენს მხმობელის ხმას და ყველას შესაძლებელია შეხედვა. ვერავინ დამალავს თავს, რადგან მიწა იქნება ბრტყელი და მასზე არ იქნება არაფერი, რაც შეიძლება დაეფაროს ან ჩაემალოს დამკვირვებელს – ყველა იქნება აშკარად ხილვადი. ანუ, თუ ვინმე ალაპარაკდება, მის სიტყვებს ყველანი მოისმენენ, მათ შორის ყველაზე შორეული ადამიანებიც, და ყველა მათი სახე ხილული იქნება. მზე მიიახლოვდება ქმნილებებს მხოლოდ ერთი მილით, და ისინი ისეთ მწუხარებასა და სირთულეს განიცდიან, რომ ეს მათთვის აუტანელი გახდება. ისინი დაიწყებენ ხსნის ძიებას და იმედს შუამდგომლობისკენ მიაპყრობენ. უზენაესი ალლაჰი მათგან მორწმუნე ადამიანებს შთააგონებს, რომ მივიდნენ კაცობრიობის მამასთან ადამთან, მივლენ მასთან და გაიხსენებენ მის მადლიანობას, იმისი იმედად რომ ის უშამდგომლებს დიდებული და უზენაესი ალლაჰის წინაშე, და ეტყვიან მას: შენ ხარ ადამი ადამიანთა მამა, ალლაჰმა შენ შეგქმნა თავისი ხელით, შემდეგ ანგელოზებს საჯდა გააკეთებინა შენზე, შეგასწავლა ყველა სახელები, და

ჩაგბერა შენ მისი სულიდან. ადამი მოუხდის ბოდიშს და იტყვის: ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი დღეს ისე გაბრაზდა, რომ ადრე არასდროს გაბრაზებულა მსგავსად, და დღეის შემდეგაც არასდროს გაბრაზდება მსგავსად, შემდეგ გაიხსენა მისი შეცდომა, მისი შეცდომა იყო, რომ ყოვლადუნაკლო და უზენაესმა ალლაჰმა აუკრძალა მას, რომ მიერთვა ერთი ხის ნაყოფი მან კი მიირთვა მისგან, და იტყვის: ჩემი სული, ის არის ვისაც სჭირდება შუამდგომლობა, წადით ჩემს გარდა სხვასთან, წადით ნუჰთან! მივლენ ნუჰთან და ეტყვიან მას: შენ ხარ პირველი შუამავალი, რომელიც დედამიწაზე წარმოიგზავნა, ჭეშმარიტად ალლაჰმა შენ მადლიერი მსახური გიწოდა, მაგრამ ნუჰი მოუხდის ბოდიშს და იტყვის: ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი უზენაესი და დიდებული დღეს ისე გაბრაზდა, რომ ადრე არასდროს გაბრაზებულა მსგავსად, და დღეის შემდეგაც არასდროს გაბრაზდება მსგავსად. მას ჰქონდა ერთი ვედრება, რომელითაც თავისი ხალხის გამო შეევედრა. ჩემი სული, ის არის ვისაც სჭირდება შუამდგომლობა, წადით ჩემს გარდა სხვასთან, წადით იბრაჰიმთან! მივლენ იბრაჰიმთან და ეტყვიან: შენ ხარ ალლაჰის მეგობარი მიწაზე, გვიშუამდგომლე ჩვენ შენ ღმერთთან, ვერ ხედავ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით?! ის მათ ეტყვის: ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი დღეს ისე გაბრაზდა, რომ ადრე არასდროს გაბრაზებულა მსგავსად, და დღეის შემდეგაც არასდროს გაბრაზდება მსგავსად, მე ვთქვი სამი ტყუილი; ისინია მისი სიტყვები: ჭეშმარიტად მე ვარ ავად. მისი სიტყვები: ეს ჩაიდინა მათგან ყველაზე დიდმა. და მისი სიტყვები: როცა უთხრა თავის ცოლს სარას, უთხარი მას (ფარაონს), რომ მე ვარ შენი ძმა, რათა უსაფრთხოდ იყო მისი ბოროტებისგან. სიმართლე არის ის, რომ ეს სამი სიტყვა არის მის სიტყვების განმარტებები, მაგრამ ისინი წარმოთქმული იქნა ტყუილის ფორმით, ამიტომ თავმდაბლობა გამოიჩინა, რომ მას შუამდგომლობა არ შეეძლო; რადგან ვინც ყველაზე კარგად იცნობს ალლაჰს და მასთან ყველაზე ახლოსაა, მას ყველაზე მეტად ეშინია მისი, და იტყვის: ჩემი სული, ის არის ვისაც სჭირდება შუამდგომლობა, წადით ჩემს გარდა სხვასთან, წადით მუსასთან! მივლენ მუსასთან და ეტყვიან: ო მუსა, შენ ხარ ალლაჰის შუამავალი, მან შენ სხვა ადამიანებზე აგამაღლა თავის გზავნილით და სიტყვებით, გაგვიწიე შუამდგომლობა შენს ღმერთთან, ვერ ხედავ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით? და ის იტყვის: ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი დღეს ისე გაბრაზდა, რომ ადრე არასდროს გაბრაზებულა მსგავსად, და დღეის შემდეგაც არასდროს გაბრაზდება მსგავსად, მე მოვკალი სული, რომლის მოკვლაც არ მბრძანებია მე, ჩემი სული, ის არის ვისაც სჭირდება შუამდგომლობა, წადით ჩემს გარდა სხვასთან, წადით მარიამის ძესთან ისასთან! მივლენ ისასთან და ეტყვიან: ო ისა, შენ ხარ ალლაჰის შუამავალი, რომელიც ჩაუსახა მარიამს თავისი სულისგან, ჯერ კიდევ ჩვილმა დაელაპარაკე ხალხს, გაგვიწიე შუამდგომლობა შენს ღმერთთან, ვერ ხედავ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით? და ისა იტყვის: ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი დღეს ისე გაბრაზდა, რომ ადრე არასდროს გაბრაზებულა მსგავსად, და დღეის შემდეგაც არასდროს გაბრაზდება მსგავსად, ის არ ახსენებს არავითარ ცოდვას, თუმცა იტყვის: ჩემი სული, ის არის ვისაც სჭირდება შუამდგომლობა, წადით ჩემს გარდა სხვასთან, წადით მუჰამმადთან! მივლენ მუჰამმადთან და ეტყვიან: ო მუჰამმად! შენ ხარ ალლაჰის შუამავალი და შუამავალთა ბეჭედი, ჭეშმარიტად, ალლაჰმა შენ მოგიტევა წარსულში არსებული და მომავლის ცოდვები, გაგვიწიე შუამდგომლობა შენს ღმერთთან, ვერ ხედავ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით? მე კი წავალ, მივალ არშის დაბლა და დავემხობი პირქვე საჯდაზე ჩემი ღმერთის დიდებულის და უზენაესის წინაშე, შემდეგ ალლაჰი გამიხსნის მე მის შექების და კარგი განდიდებისგან ადგილებს, რომელიც არ უწყალობებია ჩემამდე არავისთვის, შემდეგ გაისმის ხმა: ო მუჰამმედ, ასწიე თავი მაღლა ითხოვე და მოგეცემა, იშუამდგომლე და მიიღება შენი შუამდგომლობა, შემდეგ წამოვწევ თავს და ვიტყვი: ღმერთო ჩემო, ჩემი უმმეთი, ღმერთო ჩემო ჩემი უმმეთი, ღმერთო ჩემო ჩემი უმმეთი! და ჩემი შუამდგომლობა მიღებული იქნება. და ითქმება: ო, მუჰამმად! შეიყვანე შენი უმმათიდან ისინი, ვისაც არ ელის ანგარიში, სამოთხის მარჯვენა კარიდან, თუმცა მათ შეუძლიათ შესვლა სხვა კარებიდანაც, ერთად სხვა ადამიანებთან. შემდეგ თქვა: ვფიცავ მას, ვის ხელთაცაა ჩემი სული, ჭეშმარიტად სამოთხის კარების ერთი მხრიდან მეორე მხარეს შორის მანძილი არის,

როგორც მექქასა და იემენში ქალაქ სან'ას შორის მანძილის, ან როგორც მექქასა და შამში ქალაქ ბუსრას შორის მანძილის, (ქალაქი ჰურანი).

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/8345

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee